



საქმე ამ საერთო სა-  
ცულო საქმე მხარე-მხარს  
ძიგვაცემინას, აწ დაქსასუდნი შე-  
გვავრთოს, ღ ამიერიდგან ჩვენშიაც  
მარეობა დაარსოს, რომელიც ქვე-  
ყნისათვის სასიკეთო და სასურვე-  
ლია.

—ლი—გ.

### დამაკვირდი

ცუდი დროება იმას ჭკვიან, რაფე-  
საც ჭკვიანად ცუდი ხალხი სცხვარობს.

\*\*

თუ დრო-ჟამს თვალ-უჭრი გადგენოთ,  
დიდას ღონილით მადის, ხალხი თუ  
თავლი მოკარადეთ, სწრაფად გაიბუნს  
ხალხი.

\*\*

ისე უსარგებლოდ არაფერს გატარებთ,  
როგორც დრო-ჟამს. ხშირად რაიმე  
გროში გეშურს და ასას თუშის დროს-  
კი სიამოვნებით შეგწინავეთ ხალხი სხვას.  
მარიამ ებნერ-შენიანი

\*\*

ერთი წუთი ხშირად აკვანია მერმი-  
სისა და სამაჟე წარსულისა.

გრილობარზერი

\*\*

გამი ჟამს მისდევს, წელი-წელს,  
ხალხი იცვლება, პრეოდება,  
რაც არ გვეგონა, გამართლდა,  
საადილო-კი ძნელდება.  
ქრთამი ნათელს ჰყენს წყვილადსა,  
აღმართი ძალით იხენება,  
წახედულობით და ბაძით  
ნარჩიცი, ქაბუცი ირყენება.  
გონება მუდმივ მარხულობს,  
უქი-კი ძლომით ღორდება;  
წელ-მართალს ვხედვთ მოხრილსა,  
კუზინი-კი სწორდება.  
ენა ირევა, ირყევა,  
ქუთა უხამსად ბერდება...  
ტყუილი ჰმეფობს, მართლისთვის  
გული ვის აუძეგრდება?  
ქვრივ-ობოლთ ცრემლი კვლავ  
იღვრის,

წუხილი არა ნელდება,  
მდიდარს მკა აქვს და მიწა-კი  
ღარიბის ოფლით სველდება!..  
მიკვირს, სიკვდილი თუ მოდის,  
სიცოცხლე რაღად ბრუნდება,  
როს წუთიერი ცხოვრება  
ამო ბრძოლას უნდება?!  
არ მესმის დრო-ჟამთ გზა-კვალი,  
სით მოდის, სადით გორდება...  
ან მოვა ის დრო, როს ქვეყნად  
ყველა გათანასწორდება?!  
თუ არ, რას ვაქნევ დროთ სრბოლას,  
წაღმა-უკუღმა ტრიალსა,  
უმსგავსა ცვალებადობას,  
ახალს, ძველს, —ორივე ტრიალსა!..  
ენტი

### მოსუცი და ჰაბუში

(სახალწლო ფანტაზია)

მემ მოატანა. ხალხი გულის-  
მიგზურებოდა სოფლის გა-  
მოედანისაკენ, რათა ენახათ  
მთავრისა და ქა-უყ სამთა-  
ხალხი უჩვევი არ იყო

და თავისი ძალ-  
იფინა ქვეშევრდომ-  
მეკვიდრას სიმამრით  
განარბებულს, მოხუც მთავრს, ხალ-  
ხი „ვაშას“ ძახილით მოცილებდა  
ბინამდე და ამ გვარისავე „ვაშას“ ძა-  
ხილით აიყვანდნენ ახალგაზდა ქა-  
ბუცს სამთავრო ტახტზე.

თვალ-უწვიდნენ მინდორზედ აუ-  
არბელი ხალხი ზღვასავით ჰღვლა-  
და. აღმოსავლეთის მხრივ გაისმა კი-  
ენა და ამ ხმას, დასავლეთის მხრი-  
დგანაც შეუერთდა ამ გვარივე ხმა:  
„გაუმარჯოს ქაბუც სამთავროს!“ იხა-  
და აღმოსავლეთისკენ მდგომი ხალხი  
და „გაუმარჯოს მოხუც მთავრისაო!“  
იმეორებდნენ დასავლეთისკენ მდგო-  
მნი.

აგერ მოახლოვდა მოხუცი: მუქი  
მწვენი ფერის მანტია კოჭებამდე ჰჭე-  
რავს იმის მოხუცს, მაგრამ ამას,  
მამაცურს ტანადობას. სახე დამშვი-  
დებული აქვს, თვალები სიყვარული-  
თა და მორჩილებით უბრწყინავს, სი-  
რმასავით თეთრი გრძელი თმა და  
წვერ-ულვაში მწყობრად გადაფენილი  
აქვს ფართოდ გადაშლილს ბეჭებ-  
სა და მხნე მკერდზედ. მოხუცი  
წყნარის ნაბიჯით მივიდა მოედანის  
შუა გულს დანიშნულს ადგილზედ.  
ის მხიარულს სახით შეჰყურებს თა-  
ვისკენ. კალს ქაბუცს და ხელში  
კრიალოსანს თამაშებს. აგერ მოვიდა  
ქაბუციც. ოქრო-მკედლით ნაქარგ  
აღისფერ ხავერდის წამოსასხამში ისე-  
თი მშვენიერი სანახავია, რომ აღამინს  
თვალს მოსტაცებს იმისი სილამაზე-  
მთავრისავით გაბადრული პირი, ვარ-  
სკვლავით მოვლვარე თვალები, ვარ-  
დის ფერ ტუჩებში ბროლივით გა-  
მომსკირვალე სწორედ ჩამწყრივე-  
ბული კბილები, ახლად აშლილი ჰა-  
წყა ულვაშები და გმირული ახოვა-  
ნება, ყველა ეს ერთად, უმეტ-ნა-  
კლებოდ შეზავებული, შეხედვისა-  
თანავე ატყვევებს ყველას გულს. ის  
სდგას ქაბუცებრივის მოკრძალებით და  
მოხუცის სიტყვას უცდის. აგერ მო-  
ხუცმა თერთს წვერზე ხელი ჩამოსო-  
და მიჰმართა ხალხს:

— ხალხნო! წესისამებრ დღეი-  
დგან ვტოვებ ტახტს, და თქვენი მთა-  
ვარი იქნება ეს ქაბუცი, რომელ-  
მაც თავისი სიმარდე და სიკაცსავე  
ჩემთან, მოხუცთან შეკიდებით უნდა  
გამოიჩინოს. თუ ჩემთან გაიმარჯვა და  
ის ძალა გამოიჩინა, რაც მთავრისა-  
თვის საჭიროა, იმედი გქონდეთ, რომ  
ჩემზე ნაკლებად არ გაბატონებთ  
და, თუ ნაკლი რამ აღმოჩნდა, ყმაწვი-  
ლია, შეიძენს და ტახტი-კი მაინც მავას  
არ ასცდება. ასე არის უფლის ნება.

— იყვენ ნება უფლისა, — იგრი-  
ლა ხალხმა და ქედი მოიხარა ორსა-  
ვეს წინაშე. მოხუცმა მანტია მო-  
იხსნა და ხელი გაუწოდა ახალგაზდა  
ქაბუცს, რომელმაც ელვასავით სწრა-  
ფად გასტყორცნა თავისი აღისფერი  
წამოსასხამი და მოხუცის გამოწვილს  
ხელს ხელი მოჰკიდა. მოხუცმა ფეხი  
მოიმარგა, ქაბუცი თავისკენ მიიზიდა  
და ისე ღონივრად დაიქნია, რომ  
კაცს ეგონებოდა, მიწასთან გაასწო-  
რებო, მაგრამ ყმაწვილი მარჯვენა  
ხელი გაითავისუფლა, სწრაფად იღ-  
ლიაში შემოჰხვია, მარცხენა კისერზედ  
აოფლო და იმის წაქცევას ჰლომობ-  
და, მაგრამ მოხუცმა ორივე ხელი  
წელზე შემოსკიდა და ისე მარად ას-

— არა, ძეგის გმირობაზედ ყაბუ-  
ცა არა მკაცრ, ვინ იმით და მაშინ  
გალონდნა იგერი სიმამრით, ჰუგო  
ქაბუცმა.

— შენი სება, მაგრამ ბრძოლა  
წესი არ არს, ჩვენი სიმამრე მა-  
ხვილს არ უნდა მივანდოთ... მახვი-  
ლი მტრისთვისა და არა მოყვრისა-  
თვის.

— არა, არ, შეუძლებელია, თუ  
არ დაყაბულდები, უარს ვიტყვი მთა-  
ვრობაზედ! გაცეცხლებით მიუგო ქა-  
ბუცმა.

— კარგი, თანახმა ვარ, მაგრამ უსი-  
სლოლ-კი, უთხრა მოხუცმა და იმი-  
სმა ხმალმა მსწრაფად გაიფეფა ჰაერ-  
ში. ქაბუცმა მარად აღუკრა ხმალს  
ხმალი, ვეფხვივით შეწოტრილა და  
დაშნა ისეთი სიისკისით მოუქნია,  
რომ მოხუცისა და ქაბუცის ერთად  
მოქნეული ხმლები ერთმანეთს მოჰ-  
ხვდა ხარისავით დაიწყიალეს და  
საშინელი ნაპერწყლები გადმო-  
ჰყარეს. ორივე ხმალი გადარჩა,  
ხალხი ყვიროდა „კარაო!“ მაგრამ  
გააფთრებული კარგით მოალოდნე-  
ლად მიუხტა მოხუცს, ხმლის შე-  
მოსაქნევად ზედ შემართული ხელი  
მკლავიანად გადადებინა და განზე  
გაღდა. მოხუცი წაბარბაცდა, მაგრამ  
ხალხმა შეიკავა.

— ეს წესის დარღვევაა, პირო-  
ბა ასე არ ყოფილა, — გაიძახოდა  
ხალხი და გარს ეხვეოდნენ ქაბუცს,  
რომელიც სისხლიან ხმალს გასაწმე-  
ნლად აწვლიდა თავის მხოლს.

— უმადურო, მარჯულო, უსუსურო,  
წამოიძახა ერთმა მოხუცმა გახვეულმა  
დედაკაცმა, რომელიც ამ წამში საი-  
დგანაც გაჩნდა. — შენ მოსწყვიტე  
ჩემი შვილის დამხსნელი მარჯვენა, შე-  
გო შვილო, შენ, მაგრამ მე განვიკუ-  
რნავ... დაიძახა ესა და საჩქაროდ გა-  
მიძრო სარტყელში ჩარქობილი არ-  
წივის ფრთა, წყულულზე შემოუსვა,  
გამთელა, ფრთა მოხუცს მისცა და  
თითონ უეცრად გაჰქრა.

— ვინ არის ეს საკვირველმოქმე-  
დი დედაკაცი, ვინ არის, იძახდა ხა-  
ლხი და სცდილობდა თვალი ოკერა  
იმისათვის, მაგრამ იგი არსად სჩა-  
და.

— ამირანის დედაა, — წამოიძახა  
მოხუცმა, — ეს ფრთა იმ არწივის არის,  
რომელიც ამირანს გულ-მკერდს  
უწიწნიდა, მე მოვკალი ის არწივი და  
ღირსეულადაც შეასრულა დედი  
მოვალეობა, კურთხეულ იყოს ამირ-  
ანის დედა.

— კურთხეულმცა არს ამირანს,  
კურთხეულმცა არს იმის დედა, ღი-  
ძახა ხალხმა და „ვაშას“ ძახლით  
აიყვანა სამთავრო ტახტზე ქაბუცი,  
რომელიც თავ-დაღუნული და დაი-  
ცხვნილი იყო თავისის სიციხი.  
მოხუცმა დალოცა ახალგაზდა ქაბუ-  
ცი და სამთავრო კვერთხთან ერთად  
არწივის ფრთაც გადასცა.

— აი, მთავარო, — მიჰმართა მო-  
ხუცმა ქაბუცს. — ეს ფრთა მუდამ  
თან ატარე, გარდა იმისა, რომ  
წყულულს განგიკურნავს, მოსაგონებ-  
ლია კეთილის საქმისა, უთხრა ესა და  
წივის ფრთა გადასცა.

— კურთხეულმცა ვარს მოხუცი,  
რომელმაც ამირანის მტერი შემუს-  
რა. დიძახა ხალხმა და გულმარჯვის

კმევით წაუძღვა მოხუცს სამუდამო  
სამკვიდრებლისაკენ.

განდგვილი

### ლოცვა

ღმერთო, წმიდაო, მპყრობელო  
ზღვისა და ხმელეთისაო,  
უხილაო და ძლიერო,  
ხევ წმინდა ცხოვრებისაო:

— გვაშორე უღმრთო წადილი  
და აღვაბამლე სულითა,  
რომ გმსახურებდეთ საერთოდ  
ქართველნი წმიდის გულითა.

— ნუ დაგვანახებთ ცოდვის ზღვას  
ჩვენ ჩვენდა სატანჯველად,  
სოფლის წესია: შვილს მამა  
ჰყავდეს მფარველად, მცველად.

— ზი, უფალო, მისმინე  
ცოდვილსა თხოვნა, წადილი:  
ნუ დაგვანახებთ, რომ მტრსა  
აღსრულებოდეს ქადილი,

— რომ ჟამთა ბრუნვით ჩგარულნი  
გავმხნევედეთ საგრძობელად  
და აღარ ვიყვნეთ უსაზღვროდ  
სისხლის და ცრემლის მფრქვეველად;

— რომ შენგან განარბეულნი  
ვისწრაფდეთ სწორე გზაზედა  
და უნათებდეთ ერთ-ერთსა  
ვით ვარსკვლავები ცაზედა...

— ეს აღგვისრულე, უფალო,  
გთხოვთ, გვედრებით გულითა,  
რომ მრავალს დავხვდეთ ქართველნი  
ახალს წელს სიხარულითა.

დ. ნინოწმინდელი

### წადი, გაგვაცალე!

(ღმერთს პირდაპირ)

დაბნდდა... დედამიწამ შავი სუ-  
ღარა გადაიფარა, სკალნი მოლულა,  
და საუკუნოდ გამოეთხოვა იმ დრო-  
თა ბრუნვას, რომელიც წელიწადი  
თორმეტი თვე თავზედ დაჰფარტებ-  
და და საზარლად დასჩაოდა: „მე ვარ,  
მე, შენი მბრძანებელი, როგორც  
მინდა ისე ვატრიალებ შენს ბე-  
დილადს, შენ მიწა ხარ და მეკი-  
დრო, შენ ტყვე ხარ და მეკი... თა-  
ვისუფალი, შენ ყმა ხარ ღ მეკი მეფე“...  
მოსწყინდა, მოსწყინდა ეს მკაცრი  
სიტყვები ჩვენ მსცოვანს სავანეს.  
ლოვის მოცურო ამ ვაგბატონის გას-  
ტუმრებას, ახლა უნდა სხვა ქაბუცს  
მივგებოს. იქნება იმან უფრო სხვა  
ჰანგზედ დაიწყოს მღერა... წასვლა  
იანი, მოსვლა გვიანი, მიაძახა საძი-  
ლოდ მომზადებულმა ბუნებამ, ერთი  
ღონივრად ამოიოხრა, თან ამოაყო-  
ლა მთელი წლის ქირ-ვარამი და წყნა-  
რად მიიძინა. მშვიდად ფშვინავს ბუ-  
ნება. სამყაროს ქვეშ სინამდვილე...  
მხოლოდ წყნარად ჰბარდნის თოვლი  
და თეთრს სუღარად ესურება მიძი-  
ნებულს დედამიწას... ცასა-კი უნ-  
და ქვეყანა განსპეტაკებულ-განწყმენ-  
დილი შეხვედროს ახალ-წელიწადს.  
სძინავს ბუნებას, მაგრამ არ სძინავთ  
ბუნების შვილთ.

— აგერ ძეგბით შემოსილი დედა მღუ-  
ღარებლად იცდებ, იგონებს თავის პი-  
რამშოს, რომელიც დედა ხმის არ  
არის, რაც დაუმარბავს. სტირის და  
მოსთქვამს თავის მარტობას, მოს-  
თქ მს თავის გაჭირვებას და თავს  
განწირულებით ახეთქებს სახლის  
კედლებს. „შვილო, შვილო ახალი

წელი, ... კი შავს მიწაში გვერდ  
ახალს წელს... შავს მიწაში გვერდ  
სათი, როცა შენს ღმერთს გვერდ  
წაშავდი, წაშავდი ძველი წელიწად  
მოდი ახლო და ჩემს შვილიან  
მიყვანე! აღარ მიწა, აღარ ეს  
რე ცხოვრება... შენ-კი, ბებერო,  
დაიკარგე, უსუსულომე გყუტს  
წასვლა იანი, მოსვლა გვიანი!

— აგერ ღამაში ნახი, ახლად  
რჩენული ქალც სტირის. აგლო  
თავისი მიჯნური, აგონდება  
პირველი შეხვედრა, აგონდება  
ხიყვარულისა. ოო, სიყვარული  
გრძობა! ტანჯვა, ვება, იმედი,  
ხარული, სიამოვნება, აღერსი,  
ტკიობა, ყველა, ყველა რასაც  
ღმერთი თავისებს ერთად არის შე-  
გულიანო. ტკილია ტკილი მაშინ ს-  
იტყუე, და აღამინს თავის თავ  
ღმერთი ჰგონია. ბედნიერი იყო ეხლ  
მეტირალე ქალიც. თავისუფალ  
როგორც ჩიტი და უმანკლო  
მორც ღვთაობა... დღეს-კი სწორი  
და ჰკრულავს იმ წა.

— ველოდ იგრძნო ეს  
რა ჰყავს მიჯნური, წა-  
შავს მიწას ამოაფარა. „  
შავდი, უფსკრულსა გი  
ოხვრით იძახის ქალი. ც  
ქვევს, ჰყენის და მის  
გულიც ცრემლით იბანე  
ყაყანებს და ილიანდღვ  
ცობრიობა, ცრემლის ნა-  
ღის, სისხლი წითლად ჰღ  
მოს, კენესა და ოხვრა ქუხი  
რდაქეულა, იწყველობა ჰვე  
წარსულს წელს... ცოცხლად  
ებს. ჰგმინავს მთელი ქვეყანა, მხო  
წყდილად მიმადლული „ბოროტ  
ხითხითებს, სიცილითა ჰკედებ  
ცოდანო, საცოდანო...“

— იგვალსეთ! მე-კი აღარ მიყურ  
თქვენი სული ჩემს ხელშია, სწყვე  
ლეთ, ჰკრულეთ, ძველი წელიწად  
მე რა შენადღვლება? ისიც ჩემი მ-  
ნა როგორც თქვენ. თქვენი ნახარ  
მაგრამ თქვენვე არ გამოძკვებე  
მითა? დიახ, დასწყველეთ  
წელიწადი! მე ხომ ისევ თქ  
ვიქნები და ამა მიყურეთ, აგ  
გაგიმწაროთ სიცოცხლე. ახლ  
ტო იტირეთ, თავს ნუ მოუფლ  
მეც მავის მეტო არ მინდა...

— დაბერებულ-დაზარალებული ძვე  
წელიწადი-კი თავისი გულან-  
აიკედებული, სერიდგან გადმოს  
რის მგოდებელ ქვეყანას. უცქი  
და ეციენება. ძალა-გამოცლილი მ  
ლები უცახცახებს, თეთრს-ბამ  
ქულა წვერს მთის სიო უფარფარ  
მაინც სდგას და შესტკერის ქვე  
ნას. უცქირა, უცქირა და ამ ცქი  
დაილია, დაბატარავდა, ცოტა  
დღე და სულ გაჰქრება... მაგრამ  
დროს ხმა იმალდა და გადმოს  
ქვეყანასა. დაუნდობელი მწყი  
ლეთ, მწყველეთ, დეე, მაიხთ მი  
ოხვთ ვული, დეე, ყველ... რი იგ  
ბრალი იყოს. მაგრამ თქვე  
ნა ცამდის მათათლი ხარო?  
გართეთ. ჰქვენ ერთმანეთი  
ერთმანეთს სისხლი გაუშრო  
მაყეთ, ცხვირის დაცემინებ  
რისხვით ჩაიფევალით, მამ  
ლი დალიეთ, ყველამ კბი  
მოინდომეთ და რაც თ  
სულის სიმშვიდე აქ  
დამაკვებეთ. დაუნო  
ერთმანეთი უღლი  
მენდურეთ მე ხ  
ენახოთ ჩემი

დობით. სახარლადლი-  
 იხუცა და უფსკრულში  
 ლხედ ზუნებამ გამოიყოფა,  
 კიფიშინია, ხმალონი ასტე-  
 ამიწამ შავი სუღარა თავზედ  
 ია, უკენითიღან გელოფი და  
 იის ფერ ცას ხალა მიწა-  
 იგილოცავს ახალი წელი, და  
 თრის ქარმა და დედამიწა თო-  
 გადაცა „ასე თეთრად დამი-  
 დილი“. ასეცა ხმალონი, ხალხმა  
 ფუცი დაიწყო: მოგვილოცავს  
 ლი წელი, ასე „მოლიანად დამი-  
 გრიდი“ და ამ სიტყვებით წითელი  
 შარაშაული ვაშლი ერთის ხელიდ-  
 ზნ მეორეში, გადავიდა. „ასე ტკი-  
 ლად დამიწერი“, ეუბნება დედა  
 შვილს და ხანგლით გოზინაყის ნა-  
 ტერს პირში უდებს.

მომილოცავს ახალი წელი, შე-  
 ხა პიროვნებად გადაქცეულმა „ბო-  
 როტებამ“ ერთს ჰაბუკს გადაჰკონა  
 და სული შობაგრა. ეს ჰაბუკი მსწრაფლ  
 გაიხარდა და ქვეყანას ლანდღვა-გინე-  
 ბად მოედო.

მომილოცავს ახალი წელი, ჩემო  
 რძალი, დაბალის ხმით მიესალმა  
 დედამიწილი თავის რძალსა. მაგრამ  
 რა მოგილოცო, ვაი ჩემს თავს, რომ  
 არაფერი მაქვს-რა. უთხრა თვალ-  
 ცრემლიანად დედამებრმა და ცას შე-  
 ხედა. „ღმერთო, ნეტა როდის გვეშვე-  
 ლელებო“. ამ დროს ბოროტებამ  
 თავზე გადააფრინდა და სახარლად  
 დასწავლა. „სტყვენ რომ გეშველოთ,  
 მე რაღა უნდა ვქნა? მაშინ ხომ ყვე-  
 ლა თანასწორი იქნება. არა, ისევ  
 თქვენ იტანჯეთ და მე-კი ბატონობას  
 ვერაფერ ჩამომართმევს..“

„გერც შენ იხერებ“ დაიბრიალა  
 ბოროტების“ თავებდობით განრის-  
 ებულმა ბუნებამ და მუქარის ნიშ-  
 ალ, დედამიწის მკერდიდგან წამო-  
 ნაბერმა გრიგალმა თოვლის კორიან-  
 ტელი აყენა.

თომანთ-კობა

„მელაფონი“

(სახალწლო სცენა)

აბუჯად მოწყობილს დასწავლა სა-  
 ლად ბლამად არანს მოყრილნი სტუ-  
 მაწნი, მკვთა და ელასაბუდა, სარ-  
 ტუელ-გულის მართთ გამოწეობაწნი,  
 ჩაჭედელს მძიმე და უშეგებულს, გა-  
 ბიერს მძიმეს სავარდებში. ავეტეპა,  
 წვერ-უფავით შეხანჯდულა, ნუშას  
 გოზინაყს შექცევა და სმარ-სმარად  
 სელსახის ისკამს ზიარქედ, რადგან  
 ვინაყის ნატეხს ხან უფავის ბეწ-  
 ჩამოკედა და ხან წვერის ბეწ-  
 აგინა-კი ხან-ამომშრადი, შეუბ-  
 ლი სდგას, ეტუობა, რომ არც  
 ამუბა და არც გოზინაყი, გა-  
 თ ბეწ-შემოკლებულ კაბის სა-  
 სის ხან ერთს მხარე შეკვდებს  
 სოფლე და ხან შეკვდებს.  
 ჩა. ანტი-ქ-ისტე მოვიაო.. მაშ  
 ური გამიწეეს და საიქიოს  
 ზონებულდ ქანა იღარა ვნა-  
 კანტი-ქრისტე მოსული არ  
 იყოს და აქ ახლო-მხალეო სადმე არ  
 იმალებოდეს. სადღა ძველი დარბა-  
 ისლობა, ძველი სიღინჯე. თითქოს  
 ახრინამხედ მიმდგარა საქმეო, ყვე-  
 ლა რაღასაც ჩქარობს, ტვირს ძალას  
 აღარ ატანს, შეშმისსავით გარბის...  
 მე ასე აქრებულელი, ასე ატუნტრუ-  
 ბული ქვეყანა არ მინახავს. ვა,  
 რის დროც ამ ტუტუტ ხალხის  
 აპყლოია, ისე გარბის, რომ

ყურთმაჯის გასწორებას ვერ მასწ-  
 რომ, პუბუზ, იარმუკაში სახლწლოდ  
 თაფლა გამოუტანიათ გასასყიდად. არა,  
 სად მიდის ეს ხალხი, რატომ არ დაფიქ-  
 რდება? რომ არა სცალიან დაფიქ-  
 რებისათვის, მირბის... აბა დინჯად  
 პირჯვარი დაიწეროს, ან ხატის კარ-  
 ზელ მივიდეს, ან პური ჰამოს, რომ  
 ან ჯანს შეერგოს და ან ღონეს!..  
 არაო, გმე, დრო ძვირიაო, დრო  
 გარბისო, და ისიც გაქვინებულ ულა-  
 ყსაყით აპყლოია. ახრ, შეილო, თუ  
 ეს ცრო გარბის, არა რომ კისერს  
 გადაიტეხავს სადმე, შენ-საღლა მის-  
 დევე-და!.. ხალხი დატყვიანდაო!.. რო-  
 გარა არა, გუშინ არ იყიდებოდა მა-  
 გათი კეუა შეითან-ბაზარში ტომრის  
 ცალბით?!. რის დატყვიანდა?!. გა-  
 გიგონიათ, რომ ტყვიანი კაცი აჩქა-  
 რებული იყოს? კეუა სიღინჯეს გაე-  
 ქცევა? კი არ დატყვიანდა, გაეშმა-  
 კლა.

ვაა, მიიხედ-მოიხედეთ-და!.. ცხონე-  
 ბული ჩემი დიდიდღა ასტიკა იტყო-  
 და ხოლმე, შეილო, უფაღმა ეშმაკები  
 ჯოჯოხეთში ჩაჰყარა, მაგრამ იქაც რომ  
 არ მოსივინეს, ქვეყანაზედ ამოჰყარა  
 და ეხლა ჩვენში ტრიალებენ, კიდევ  
 იმითმე გაეშმაკდა ასე ხალხიო...  
 ახრ, რა ემეს, რა სახარულაღას არ  
 იგონებენ... ტელაგრაში რომ შემო-  
 იღეს, მე ვთქვი, ეს არის—მეორედ  
 მოსვლის ნიშნები დაღა მეთქი, მაგ-  
 რამ მაინც კაცი ვა, ვიფიქრე, ვი-  
 ფიქრე და გავიგე, ძალა რაშიაო იყო.  
 რა არის ტელაგრაში: ერთი ქალაქი-  
 დგან მეორე ქალაქში ძაფია გაბმული,  
 ამ ქალაქში პაწია ნაგლეჯს ქალა-  
 ლზედ დასწერენ, —ოჰანესას უთხარ,  
 ხუთასი თოფი მაუდი იყიდოს და  
 ორასი თოფი ყაიანოზის ჩითიაო“, მა-  
 ბამენქმავთულს, ის იქიღან ხელად გას-  
 წევს და ეს ქალაქი მეორე ქალაქ-  
 ში ამოჰყოფს თავს. თუ აქეთ ქალაქ  
 ში ჰგზავნიან, თუ აბა კირაკოზ, ტა-  
 ვარი... და შეშული ბლომად  
 არის, აქედგან გადმოსწევენ მავთულს  
 და მანამ ის გზაში მტვრით იწრჩებო-  
 ჩვენ აქ ვიცით კიდევ, რომ ოჰანესა  
 მოდის და თან ტავარი მოჰყავსო.  
 აკი გეუბნებით, ამ ტელაგრამას  
 ზაპრუმალა გაუგეთ. ჰამა რას იზამ,  
 როცა თითო წელიწადს თითო ზაზ-  
 რუმალა მოსდევს. ყველაფერი იც-  
 ლება, წესიც, რჯულიც, ხალხიც,  
 ჯანდაბაც და ღოზინაც... ეს ხომ ვი-  
 ცი, რომ ბურნუთი ცხვირით უნდა  
 მოსწიოს კაცმა. ახრ, როგორ არ  
 ვიცი, რომ ოცი წელიწადია ჩემი  
 ცხვირი და ბურნუთის კოლოფი ერ-  
 თმანეთს არა შორდებიან, ერთს დღეს  
 რომ არ მოეწიოს, ხორველა დამემარ-  
 თება. ჰამა სურბ-ნიშანი გამოწყრს,  
 თუ ხატი მამიტანო და დაფიციკო,  
 რომ მერმის ამ დროსაც უთაოთ ცხვი-  
 რით მოსწევს-მეთქი ხალხი ბურნუთს.  
 ვა, რა ვიცი, იქნება ისეთი მოდნა  
 მოვიდეს, რომ ფხვით მოსწიოს და  
 ცხვირით დააცემინოს. რას გიკვირო?  
 ამისთანები მომხდარა!.. აი თუ გინ-  
 დათ ეს ტელაფონი, ზაგრანიციდ-  
 გან რომ ჩამოუტანიათ.

ხომ არ იცით ეს ამბავი. აბა მე  
 გეტყვით და ნუ გაგიკვირდებათ. ქონი  
 თომასა რომ იყო, ხომ იცნობდით? იმის  
 შვილს სტრახის კანტორა აქვს სო-  
 ლოლაკის ხევთან. იმ დღეს შემიყ-  
 ვანა, კედელზედ პატარა მიკრული  
 ყურაიანი ყუთი მაჩვენა და მითხრა:  
 — თუ, მიკი, იცი ეს რა არისო?  
 — თუ რა ვიცი, ქალაქების ლო-  
 ლაბი იქნება-მეთქი.

გაეცინა.  
 — აჰა, ეს შორს ადგილებში სა-  
 ლაპარაკოაო.  
 — ჰო, ტელაგრაში-მეთქი?  
 — არაო, ტელაფონი ჰქვიანო.  
 — რა საქმეს აკეთებს-მეთქი?  
 — თუო აქედგან, ვთქოთ, ხარ-  
 ფუხში გასძახებ, იქ შენი ნაცნობი  
 ყურს უდებს და მერე ისიც გამოგ-  
 ძახებსო.  
 — აქედგან და ხარფუხში? მერე ჩე-  
 მი ხმა რას მიაქვს?  
 — აი, ამ ყუთსაო.  
 — ვაა!..  
 — აი გაჩვენებო...  
 არღნის ჩარხსავით რაღაცა გადა-  
 ტრიალა და ზანჯალაკმა წკარუნით მო-  
 ლა. მერე რაღაცა უთხრა ამ ყუთს,  
 ყურზედ ღოროტოტო მიიღო და მი-  
 თხრა:

— ეხლა ჩვენა და მირზოვეის აბა-  
 ნო ერთმანეთზედა ვართ გადაბმულიო.  
 შეგხედე, ერთაა, ამას დიდრონები  
 ჰყოლია-მეთქი, ვიფიქრე. აბანო  
 სურბ-სარქისის აღმართშია, ჩვენ სო-  
 ლოლაკის ხევთანა ვართ, რა ჯაპრუ-  
 ლოზანა გადაგვამდა მეთქი?!.. თვა-  
 ლებში შემატყო, რასაც ვფიქრობდი,  
 და ისეთ ნაირად გაიკრიქა, თითქოს  
 ამბობს, ტუტუტი, მე-კი არა, შენა  
 ხარო.

— აბა მოდიო, მითხრა: აბანოს  
 პატრონი ვახაკა გელაპარაკება და პა-  
 სუხი მიეციო.  
 მივიხედ-მოვიხედე.  
 — სად არის ვახაკა-მეთქი?  
 — იქ არის, თავისს აბანოშიო.  
 პირი ყუთის ყურთან მიმატრინა,  
 ყურთან ღოროტოტო დამაქვრინა.  
 — ყუთს ჩაჰვიკრეო.  
 — რა ჩავეყრეო?  
 — თუ ვითომ ეგ ყუთი ვახაკა  
 და ელაპარაკე რაღაო.  
 — ვახაკა, ღუნ ის?  
 — იისიმ ის, ინჩა?  
 მოდი და გული ნუ გაგისკდება.  
 ვა, ყურში ვახაკს ხმა მესმის, ჩემს  
 გვერდზედ თომასას შვილის მეტი არა-  
 ვინ არის და ისიც ჩუმადა სდგას,  
 მოდი და შუთით გულ-მუცელი ნუ  
 გადაგბრუნდება! ისეთი შეგბტი, რომ  
 ხელიდგან თოკით ყუთზედ მობმული  
 ღოროტოტო დაგვადე. ის იცინის,  
 თუ, —ნუ გეშინიან, არ გიკბენს, ვა-  
 ხაკა იქ გელას, ელაპარაკეო.

ვეყვირი:  
 — ვახაკან, შეილო, ეშმაკი მე-  
 ლაპარაკებ, თუ შენ ვახაკა ხარ და  
 ან სხვა ვახაკა გაჩენილა?!  
 — მე ვარ, მიკი, ხმაზედ გიცან.  
 კაცო, რატომ ჩვენსა აღარ შემოი-  
 რე, დედჩემი მალ-მალე გითხუ-  
 ლობს იმ დღეს ჩვენსა ნათლობა-  
 ში რომ ბურნუთის კოლოფი დაგრ-  
 ჩენოდა და გამოგვავნე, მოგივი-  
 დაო?

ვს მოდი და ნუ დაიჯერებ? ტვი-  
 რის ძაფები გამიხურდა, კეუა ამერია,  
 კინდამ გაეყოფიდი. ეს რა არის?  
 ეს რა იმბავია? ჯადო-თილისმა მუ-  
 შაობს აქ, თუ, მართლაც, ცხონე-  
 ბულ ჩემი დიდიდღა ასტიკას ლა-  
 პარაკისა არ იყოს, ხალხი ეშმაკებით  
 აგვსო-მეთქი?!.. დარეტყვიანებულსავით  
 ამოვარდი, „მშვიდობით“—აც აღარ  
 მითქვამს, ორი დღე ატაცებულსავით  
 ვიყავი, ძილი არ მაშვლია. მოდი,  
 ახლა, ძმავ, და დაიფიცე, რომ ამ ახალ  
 წლის სწორზედ ხალხი ცხვირით არ  
 მოსწევს ბურნუთსა-თქო!..  
 ორ-ანი

ოთხი დრო  
 (თარგმანი)  
 სიზმარი ვნახე. მშვენიერი გაზაფ-  
 ხულის დღეა იყო, ვარდის ფრად  
 ამოხვირთქლული და ახალგაზდა; მზე  
 ამოდიოდა თანდათან ზევით, გაზაფ-  
 ხულის ხეების ახალი ფოთლები გე-  
 გონებოდათ უღიმოდა ახალ დაბადე-  
 ბულ დღეს. ფართო უსწორ-მასწო-  
 რო სივრცე ათას-ფრად იხატებოდა  
 ჩემ წინ. გამოველ სახლიდან და ძლივს  
 გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი, რომ  
 ერთბაშად პატარა გოგონა გამომეც-  
 ხადა, რომელსაც ხუჭუჭს თმას მშვე-  
 ნიერი გვირგვინი უმშვენებდა. „წავი-  
 დეთ, ერთად ვითამაშოთა“—მითხრა  
 და მეც ვაყვივე. გული სიხარულით  
 მიხტოდა, ისე ვიყავი ვახალისებული,  
 რომ სულ მინდოდა მეტუნა ამწვა-  
 ნებულ—თვალ-გაღწეულმოდეს მინ-  
 დორში..

დილა იყო. განთიადი წლისა—გა-  
 ზაფხული. დილა ცხოვრებისა ბავ-  
 შებოდა.

მზე ადიოდა ზევით და ზევით,  
 უფრო და უფრო უმატებდა სიკვს  
 და დაჰკაშკაშებდა მიწყარებულს  
 მიწას. ჩემი ამხანაგი გამოიცვალა,  
 ეხლა ჩემს თვალ წინ იდგა მშვენიე-  
 რი ახალგაზდა ქალი, მწიფე პურის  
 თაველის გვირგვინით შემკული, ის  
 ფიქრით გატაცებული იტყირებოდა  
 შორს სივრცეში, სადაც ოქროს ფერ  
 მინდორში ახალგაზრდა ქალები  
 და ვალები მხიარულად მღეროდნენ  
 და თამაშობდნენ, ოჰ, როგორ მინ-  
 დოდა იმ წუთში გაქცევა და იმათ  
 მხიარუ ეებასთან შეერთება!.. ჩემს  
 ამხანაგს ისევ შეგხედე. თვალები,  
 უბრწყინავდა და ტუჩები ეღიმებოდა.  
 „წავიდეთ იქაო, მითხრა: ვითამაშოთ,  
 ვიმღეროთ, სიხარულით დავსტკბეთ!“  
 მხიარულთათანა შემოიკცა.

მზე-კი სულ ზევითა და ზევით ადი-  
 ოდა. შუადღე იყო... შუადღე წლი-  
 სა—ზაფხული. შუადღე ცხოვრები-  
 სა—სიკაბუჯე.

ისევ ვიყავ თამაშობაში გართული,  
 ვერ ვავიგე, რომ მზემ გადაიხარა  
 დასავლეთისკენ და იმისი თბილი სხი-  
 ვები სუსტად-და ათობ-ანათებდა.  
 მე თვითონ არ ვიცი, ისე ძალაუნე-  
 ბურათ და გულ-დაწყვეტით რად ვე-  
 მოჩილებოდი რაღაც გაუგებარს ძა-  
 ლას; დავანებე თავი თამაშობას და  
 დროს გატარებას და გარს მიმოვიხე-  
 დე, ფოთლები გაყვითლებულიყო...  
 მწიფე ნაყოფს ხისას თავისის სიმძი-  
 მით ძირს დავხარა ხის ტოტები...  
 უცბად თვალი მოვკარ, რომ ჩემსკენ  
 ჩემი ამხანაგი მოდიოდა. იგი დედა-  
 კაცი, იყო მალაღი, ჯან-სალი, იმისი  
 თვალები წყნარათ და ნაზად გამოიხე-  
 დებოდა ვაზის გვირგვინიდან, რო-  
 მელიც გამბედავს სახეს უმშვენებდა.  
 ორი საუცხოო ბავშვი მხიარულის  
 სიცილით მოჰყვებოდა. „ვიმუშაოთ  
 ერთად!“—მითხრა და კალათა ძირს  
 დადგა. მეც მივედი და ერთად და-  
 ვიწყეთ ხილის კრეფა. ვმუშაობდით  
 მხარი მხარში ამომდგარნი, სიხარუ-  
 ლით ყურს ვუგდებდით ბავშვების  
 მხიარულებას.

მზე-კი სულ ქვეით და ქვეით ჩა-  
 დიოდა... საღამო იყო... საღამო  
 წლისა—შემოდგომა... საღამო ცხოვ-  
 რებისა—მოწიფულები!..  
 მუშაობის დროს დაღლილობა ვი-  
 გრძენი, გავიმართე დაღლილი წელი  
 და მიმოვიხედე... მზე ჩასულიყო...  
 რბილს, მსუბუქს, თოვლს დაეფარა  
 მთელი არე-მარე. ხეები ვერცხლის

ფრად დაეფარა და ფიქრით მოკლული  
 თეთრი შტოები წელსმოქრებულნი  
 ჩემ წინ თოვლით დაფარულნი იდ-  
 იდგა... ცეცხლი ოღნავ ჰპუტებდა  
 გაყნულს ფანჯარაში... კარებში იდ-  
 გა დედაბერი. ხელი დამიქნია და  
 წყნარად მითხრა: „შემოდი ერ-  
 თად დავისვენოთო. შევედი, ჩამო-  
 ვჯექი ლოგინზედ, ბუბრის წინ,  
 და გავიხედე ფანჯარაში: შორს,  
 მთვარის სხივებში, ეკლესია მოს-  
 ჩანდა. საყდრის გარს სჩანდა სა-  
 ფლავის ჯვრები, თოვლით ნახევრად  
 დაფარული. —„იქაო, მითხრა დედა-  
 ბერმა და ხელი იქითკენ მიიშვირა:  
 იქ არის აღმოსავლეთი, იქიღან  
 ელოდდე ახალს ბრწყინვალე და სა-  
 უკუნო დღეებს, ხლა-კი ლამა!“  
 დიახ, ლამე იყო... ლამე წლისა—  
 ზამთარი... ლამე ცხოვრებისა—მო-  
 ხუცება.

ბ. ამაღლებისელი.

ახალი ამბავი

\* \* \* დღეს, 1 იანვარს, ექსარხოსის  
 გლადიმირის მიერ მისსავე კარის ეკ-  
 კლესიაში წირვა იქნება ვარდახდი-  
 ლი და შემდეგ სამალღობელი პარა-  
 კლისი.

პარაკლისის დასასრულს ბ-ნი მთა-  
 ვარ-მართებელი მილოცვას იქვე მი-  
 იღებს. წირვა დაიწყება დილის 10  
 საათზედ.

\* \* \* 26 დეკემბერს სოლოლაკის  
 ამაღლების ეკლესიის სამრევლო სკო-  
 ლის მოწაფეებისათვის გამართული  
 იყო „შობის ხე“; ამ დღესასწაულო-  
 ბას დაესწრნენ ტფილისის სემინარიის  
 მასწავლებელი ბ-ნი ნ. დ. მახათაძე,  
 მღვდელი ამ ეკლესიისა მ. დავით  
 გულაბაშვილი, რამდენიმე სხვა საპა-  
 ტიო სტუმარნი და შეგირდების მშო-  
 ბლები. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსე-  
 ბი როგორც ქართულსა, ისე რუ-  
 სულს ენებზედ, იმდერეს მასწავლე-  
 ბელ ქალის დ. ი. ლაზარევის ლოტ-  
 ბარობით და სხ. ბავშვებისათვის სხვა  
 და სხვა საჩუქრები იყო დამზადებუ-  
 ლი. სტუმრებმა ლექსი „წარვედ  
 მტკვრის პირად“ რამდენჯერმე გაა-  
 მეორებინეს და ნასიამოვნები დაბ-  
 რუნდნენ შინ.

\* \* \* საქონლის მატარებლით უფა-  
 სოდ ხალხის გადაყანის თავიდგან  
 ასაცილებლად კავკასიის რკინის გზის  
 უფროსს ბრძანება გაუცია, რომ-  
 ლითაც მატარებლის დაყენება წითე-  
 ლის ბაიარლისა, ან ფარნის ნიშნით  
 ყოველს დროს შეიძლება, რომ მა-  
 ტარებელი გაიხრჩკოს, უფასოდ ხელ-  
 არავინ მიჰყავთ.

\* \* \* გაზ. „კავკასი“ წერილი მო-  
 სვლია ოსმალეთის კონსულის  
 ესადისაგან, რომელიც იუწყება,  
 მე-341 №-ში დაბეჭდილი ცნობა,  
 თომც ბითლის გუბერნატორი მო-  
 კლით, სიმართლეს მოკლებულია.

\* \* \* 30 დეკემბერს, ღამის შვიდ  
 საათზედ თამაშევის ქარვასლაში ცე-  
 ცხლი გაუჩნდა მოსე მარტირუხაძე-  
 მალაზისს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი  
 ერთი ნოქარი ყოფილა, რომელსაც  
 ლამაზა წაეჭკია. ზარალი დიდი არ  
 არის, რადგანაც მალე მოეშველა

ცეცხლის მქრობელი რაზმი და ცეცხლი ჩქარა დაანგო.

თეატრის მახარება

„უდანიშნულად დასჯილი“ კომედ. 4 მოქმედ. ოსტროვსკისა.

გუშინ წინ 30 დეკემბერს, 1894 წელს, ქართულ წარმოდგენის მმართველ „ამხანაგობის“ მიერ შემდგარმა დასმა წარმოადგინა „უდანიშნულად დასჯილი“ კომ. 4 მოქმედ. ოსტროვსკისა. წარმოდგენამ ერთობ მწყობრად და კარგად ჩაიარა, ბუნებრივად და სწორად უნაყოფოდ უნაყოფოდ და ხელოვნებით აღსავსე თამაშობამ ხომ სული ჩაუღდა მთელს შინაარსს პაესისას. შეუდარებელი რამ იყო ბ-ნი აბაშიძე თავის როლში და დიდადაც ასაიმოვნა საზოგადოება. საზოგადოებამ დასასრულს ხანგრძლივი ტაშის კვირით დაჯილდოვა მოთამაშენი და ნასიამოვნები დაბრუნდა წარმოდგენიდან.

თეატრი და მუსიკა

მარსაკვეს, 30 დეკემბერს, ტფილისის სასულიერო თეატრში წარმოდგინეს ოპერა „ეპრეაის ქალი“ (L'Ebre) ჭალკისა. ამ ოპერას მუსიკას მუსიკოსი სიმეონიძის შესასრულად აწესებდა, რადგანაც მასი დასრულდა ცხელი ეპრეასთვის, ვისაც კი ერთხელ მან უნახავს. ამიტომ სხვადასხვა არტიისტთა მოკვლევით მოგვსენებთ წყნარად ამ ოპერის წარმოდგენებს. ბ-ნი სალტო, რომელმაც იტალიურს ენაზე წარმოადგინა ეპრეასის როლი, უოკალის მხრით მოსწონი იყო. მისი სალტოს ბუნებით მშვენიერი და მასთან ფრად დასულიერებული აქცეს, სულსა და გულს მომსახურებელი, თუმცა ახა მკვლევარი და დიდად მძლავრი. დეკორაციებით, განათქვამდ ჭკალებს, სიტუაციებს გარკვევით გამოსთქვამს. მშვენიერად გამოსთქვამს ზინდის, სამოცნებას, სიყვარულს, სისწრაფას და რისხვას. ერთის სიტუაციით, უოკალი სტენა, როგორც ცხელი, მარტომ, ისე სხვებთან ანსამბლით დიდის სულაქვებით წარმოადგინა. უოკალი დასაკარგვინა ანათ „Rachelle allorehe Dio“ ეს ანათ ისეთი გონებით წარმოსთქვა, რომ აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება, რომელმაც განმეორება სთხოვა და კვლავ დასრულდა ხანგრძლივი ტაშის ტემპით. თვალწინ წარმომადგენა სასულიერო არტიისტები: ნოდინი, კარაონი და გაანა.

ქ-ნმა ზალაბანკისამ დასრულა რეჟისორის როლი კარგად. ამ არტიისტ-ქალს მშვენიერი ხმა აქვს. მძლავრი, მაგრამ ეტყობა, რომ ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, რომ თავისი ხმა რაღაც შესაფერად ხან წინადა და ხან მაგრად მოიხმაროს. სტენა მეორე მოქმედებაში, როგორც ლეონოლი უცნაურს, რომ მექანისტიანი ვარა, და მესუთე მოქმედებაში, როგორც იგი კლის, რომ სახმელში ჩაუდგებენ და ესაღებება მამას, — კარგად და გონებით დასრულა.

ბ-ნი ფიურენცია კარდინალი ბრანის როლი არტიისტულად დასრულა, მაგრამ მის ხმას სახლეს და მანსაზობა აქვდა. კარგი იყო დაელოდა თავისს როლს როგორც კარდინალს, რომელმაც საკრთოდ კარგად წაიარა.

დეკემბერი

30 დეკემბერი

პატივგზობი. გამოცხადდა იმის შესახებ, თუ რა წესით შეიძლება სესხის აღება საქონლის გირაოზე, დაგირავებულის საქონლის გადასახად, ლითონისა და ლითონის ნივთების გირაოზე.

გულა-პეტი. გრაფმა კუნმა იმპერატორს გამოუცხადა, რომ სამინისტროს შედგენას ხელს ველ მოვკიდებო. კვლავ დაიწყეს ლაპარაკი, რომ სამინისტროს ბანდა შეადგენსო.

პარისი. პარლამენტში მიღებულა ლაპარაკი აღძრა დაპატიმრებულის ერთ რიშარის განთავისუფლების შესახებ. ის რიშარი დაპატიმრებულ იქმნა რესპუბლიკის პრეზიდენტის ბეჭდით შეურაცხებისათვის.

დიუბუამ სთხოვა პარლამენტს რიშარის განთავისუფლების შესახებ წინადადებას ნუ შეიწყნარებთო, რადგანაც, მისი აზრით, უორეს განთავისუფლება დაარღვევს მთავრობის განაწილების და კანონის წინაშე თანაბრობის დედა აზრსო. შემდეგ დიუბუამ ნოდის შესახებ აღძრა ლაპარაკი (ტაშის ცემა) მელოიერანის წინადადება ხმის უმეტესობით უარსყვეს (309 ხმა 218 ხმის წინააღმდეგ).

იოკაბაბა. იაპონიის გზებები ამობენ, ვითომც კორეს მეფე მოეკლათ, სხვა ცნობებიდან კი სჩანს, რომ ბნელა დემარტო. კორეს ვერ მოუხდა შინაგანი სესხი გამოცემა.

31 დეკემბერი

კალუბა. „Новое Слово“ რედაქციის ურჩევია გოგოლის „მერტვია დუში“-ს მეორე ნაწილის ხელთნაწერის პატრონისათვის: იმის დასაბუთებლად, რომ ეგ ხელთნაწერი მართლა გოგოლისაა, მიჰმართეს სამეცნიერო აკადემიას, უნივერსიტეტს, პეტერბურგისა სალიტერატურო და მოსკოვის სიტყვიერების მოყვარეთა საზოგადოებებსა. როდესაც ზემოხსენებულნი დაწესებულებანი შეამოწმებენო, რომ მართლა გოგოლის ნაწერი იყო, „Нов. Сл.“ დაუყენებლივ დაბეჭდვას ამ ხელთნაწერს უკვე დადგენილ პირობის თანახმად.

სოფია. თავადმა დღეს ცანკოვი მიიღო, რომელმაც თვისი ერთგულეობა გამოუცხადა. თავადმა მადლობა გადაუხადა და ბოლგოროში დაბრუნება მიულოცა.

3065. ბუდა-პეტიდგან იუწყებიან დებეშით, რომ იმპერატორს მინისტრად ნამყოფი მელი მიულია და წინადადება მიუცია, ახალი კაბინეტი შეადგინეო.

პარიზი. იმპერატორს ქრისტეს შობის დღესასწაულზედ თავად ბისმარკისათვის ვერცხლის სალტეჰინი ბროლის ფილა უჩუქებია.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბერი

Table with 3 columns: მნიშვნელობა, მნიშვნელობა, მნიშვნელობა. Rows include: რუთ-მანათიანი ოქრო, ჯამოყინის კუპონები, პანეთიანი ვერცხლის ფული, 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი, 4% მესამე სესხისა, სახელმწიფო თავდაზნაურობის ბანკის მომგები, ფურცელი, კორაფონის ფურცელი, ტფილისის ბანკისა, 6%, 5%, 5% ობლოგაც, ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა.

ბანკსაღებანი

ბირჟული კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუთაში, კარანცივის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით: ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგო, ვენერიული და სიფილისი. გ. მ. ჩაქვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა. დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმა ქალა ა. მ. ტურბოვიჩი. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა. ა. ფ. პრატსკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა. ა. ზ. კარაშკინი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოლობით: ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა. ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის. ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპით შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ. რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შუბრი; ფასი კონსულტაციის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოდო აქვს ავადმყოფთათვის. დირექტორი სამკურნალოსა იოქტორა შედგინის ნავასარდიანი. (857—1468)

ცხოვრება

დიდისა მოწამისა ბანტლეიმორისა თარგმნილი მ. შარპის მიერ, გამოცემა ა. ჩინუში ზასი მართი შაური ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ობუგეთის წიგნის მაღაზრებში და შარაძისა ანანს. სტამბაში.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზრია ისყიდება შედეგა წიგნები: ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ბუნების კარი ყლით, გოგებაშვილისა, გეომეტრია II მ. ყოფიანისა, ვისრამიანი, თბზულ. რ. ერისთავისა I

თბზულ. რ. ერისთავისა კოკორა, ანუ პანაშვილი პირველი სეკუნდარული, ნი, სახლობაში სახარე ბელი, ი. გოგებაშვილისა კრილოვის არაკერი, თარგ. აკვისა იგივე მშვენიერის ყლით, ათხრობანი ვაჟა-ფშაველასი, შექსაირის დრამები ს. ყოფიანისა

საზრუნველის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა. უმაღლესად ნება აქვს დართული 2 იანვარს 1889 წელს იმპერატორს რუსეთში. 1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხა 72,000,000 ფრანკი საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს. საზოგადოება „ურბან“-მა 1890 წ. საფრანგეთში და კროპის სხვა სასულემწიფოებში დასაზღვევა 50,000,000 ფრანკი. ს.-პეტერბურგი, ნევის შრომსკეტი, № 13. საზოგადოება „ურბანი“, ნაცვლად მოგების მიტევისა, დაზღვევით ვადმყოფობის დროს ანთავისუფლებსკვადანს. გარდასასადისკვან და შოლის სკვადანს არ ეკარგება. უმთავრესნი წარმომადგენელნი აზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლოაკი და ამხ., ტფილისის, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ. დაუფლებს და შარბას ფურცლებს მსურველთ უფასო გავსახებათ. (40—1061—25)

შეადგინდა დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ. დამცვენი საზოგადოება „როსსიამ“ ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37. მთლად განაღდებული დასაფუნებელი თანხა აქვს 20,500,000 მან. საზოგადოების საზრგებლიანი ქაღალდები სასულემწიფო ბანკში ინახება. საზოგადოების მოქმედება. დაზღვევა სიცოცხლისა მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ: 1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკვლად ოჯახისა და სხვა); 2. დაზღვევა ვალიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, საშობიო და სხ.); 3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხ.); მთავრულით სიკვდილი ვერ დაბრკოლებს დაზღვეულის ხის მიცემას; დაზღვევა უზედურ შემთხვევისაგან როგორც კვდომისა, ისე სეკრეთ, სამსახურ, ქარხნის მსხმისხურეთა და მომუშავეთა; დაზღვევა სიცოცხლისაგან ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა; დაზღვევა ტრანსპორტისა, ზღვით, მდინარით, თუ სხეულთით გაგზავნილ საქონლისა. განცხადება დასდევსათვის და ყოველ გვარს რჩება ეგზავნება უმთავრეს მმართველობას, (ბოლშაი მორსკაია, სეკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისის (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში. უბედურ შემთხვევისგან დასაზღვევა ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზე, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემა რკინის გზის სადგურებზე: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემზას ნავთ სადგურებზე.